

შპს „ელმონტაჟი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
5. შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	10
6. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	11
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	11
8. ძირითადი საშუალებები	12
9. გაცემული სესხები	12
10. სასაქონლო მატერიალური მარაგები	13
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
12. ფული და ფულის ეკვივალენტები	13
13. კაპიტალი	14
14. საგადასახადო ვალდებულება	14
15. მიღებული სესხები	14
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
17. პირობითი ვალდებულებები	15
18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	15
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	17
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	17
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	17
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	18
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	18
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	18
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	18

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„შპს ელმონტაჟი“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებელს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ელმონტაჟი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგის ნაშთის რაოდენობრივ სისწორეზე და კონდიციაზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 8,243,152 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“ - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე, რომელიც გვიჩვენებს, რომ კომპანიის მიერ აკუმულირებულმა ზარალმა შეადგინა 1,487,670 ლარი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღისათვის კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მოკლევადიან აქტივებს აჭარბებს 2,155,803 ლარით. ამასთან, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია საჭიროებდა დამატებითი რესურსების მობილიზებას და იყენებდა საკრედიტო პროდუქტებს, რომლის ფარგლებში არსებული ფინანსური კოვენანტები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის შესრულებული, (იხილეთ 15 შენიშვნა). გარდა ამისა, კომპანია კონცენტრირებულია ერთ დამკვეთზე, რომელთანაც 2022 წელს გაფორმებული ქონდა 1 წლიანი ხელშეკრულება. როგორც მე-4 შენიშვნაშია აღნიშნული, კომპანიის მომავალი წარმატებული ფუნქციონირება დამოკიდებულია უკვე შესრულებული და შესრულების პროცესში მყოფი ქმედებების შედეგებზე. უკვე გადადგმულმა ნაბიჯებმა მნიშვნელოვნად შეამცირა უარყოფითი ფულადი ნაკადები და მენეჯმენტს სჯერა, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში კომპანია მიაღწევს რენტაბელობის სასურველ დონეს. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 17-19 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

4 ოქტომბერი, 2023

თბილისი, საქართველო.

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

4 ოქტომბერი, 2023

თბილისი, საქართველო.



შპს „ელმონტაჟი“

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	5	20,963,776	1,126,769
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(18,515,474)	(299,650)
საერთო მოგება		2,448,302	827,119
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(2,979,376)	(97,424)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(531,074)	729,695
ფინანსური შემოსავალი	9	148,308	-
ფინანსური ხარჯი	14	(299,504)	(2,948)
საკუროსო მოგება/(ზარალი)		(70,230)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(752,500)	726,747
მოგების გადასახადი	13	(18,812)	(92,884)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(771,312)	633,863

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 4 ოქტომბერს:

გივი ჭაჭია
დირექტორი

კოკა დუმბაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „ელმონტაჟი“

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	5	20,963,776	1,126,769
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(18,515,474)	(299,650)
საერთო მოგება		2,448,302	827,119
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(2,979,376)	(97,424)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(531,074)	729,695
ფინანსური შემოსავალი	9	148,308	-
ფინანსური ხარჯი	14	(299,504)	(2,948)
საკურსო მოგება/(ზარალი)		(70,230)	-
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(752,500)	726,747
მოგების გადასახადი	13	(18,812)	(92,884)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(771,312)	633,863

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 4 ოქტომბერს:


გიორგი ჭაჭია
დირექტორი


კოკა დუმბაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „ელმონტაჟი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	207,756	886
გაცემული სესხები	9	460,377	40,856
სულ გრძელვადიანი აქტივები		668,133	41,742
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10	8,243,152	4,900
გაცემული სესხები	9	148,060	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	4,966,899	250,226
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	365	95,502
სულ მიმდინარე აქტივები		13,358,476	350,628
სულ აქტივები		14,026,609	392,370
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	-	81,339
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	13	(1,487,670)	107,547
სულ კაპიტალი		(1,487,670)	188,886
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	14	214,731	7,332
მიღებული სესხები	15	3,094,745	185,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	12,204,803	11,152
სულ მიმდინარე ვალდებულებები		15,514,279	203,484
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,026,609	392,370

*კომპანია დაფუძნებულია 2021 წლის 14 აპრილს, შესაბამისად შესაძარის პერიოდად წარმოდგენილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთები.

შპს „ელმონტაჟი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021	-	-	-
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	633,863	633,863
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
საწესდებო კაპიტალის ზრდა	81,339	-	81,339
დივიდენდების გამოცხადება	-	(526,316)	(526,316)
31 დეკემბერი 2021	81,339	107,547	188,886
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	(771,312)	(771,312)
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(81,339)	-	(81,339)
დივიდენდების გამოცხადება	-	(98,737)	(98,737)
მფლობელთან განხორციელებული სხვა ოპერაციები		(725,168)	(725,168)
31 დეკემბერი 2022	-	(1,487,670)	(1,487,670)

შპს „ელმონტაჟი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2022	2021
წლის სრული (ზარალი)/შემოსავალი	(752,500)	726,747
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	29,230	46
ფინანსური ხარჯი	299,504	2,948
დისკონტის ეფექტი	48,924	-
საპროცენტო შემოსავალი	(148,308)	-
საკურსო ზარალი	70,230	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(452,920)	729,741
სამუშაო კაპიტალის კორექტირებებამდე		
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები მარაგებში	(8,238,252)	(4,900)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(4,728,776)	(250,226)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	12,193,651	11,152
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	207,399	7,332
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	(1,018,898)	493,099
გადახდილი მოგების გადასახადი	(18,812)	(92,884)
გადახდილი პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	(1,037,710)	400,215
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(236,100)	(932)
გაცემული სესხები	(516,679)	(40,856)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე	(752,779)	(41,788)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
აღებული სესხი	2,610,241	182,052
საწესდებო კაპიტალის ზრდა/(შემცირება)	(81,339)	81,339
მფლობელთან განხორციელებული სხვა ოპერაციები	(725,168)	-
გადახდილი დივიდენდი	(98,737)	(526,316)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	1,704,997	(262,925)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	(85,492)	95,502
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	95,502	-
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(9,645)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	365	95,502

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ელმონტაჟი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2021 წლის 14 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405455626.

ძირითადი საქმიანობა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროგაყვანილობის, სამონტაჟო და აბონენტების ქსელთან მიერთების მომსახურების მიწოდება.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 5, ბინა 39, ხოლო ფაქტობრივი მისამართია საქართველო, თბილისი, ვანის ქუჩა N5.

კომპანიის მეწილეები.

დაარსებიდან დღემდე 2022 წლის 22 დეკემბრამდე პერიოდში კომპანიის 100% წილის მფლობელი იყო ნუგზარ რუხაია, ხოლო 2022 წლის 22 დეკემბრიდან ანგარიშგების გამოცემის მომენტამდე კომპანიის 100% წილის მფლობელი არის შალვა წაქაძე.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუშადავია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამოწვევები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. მენეჯმენტის პოზიცია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844
31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და სხვაობა ისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოკეთებები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები, რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. კომპანია ამონაგებს აღიარებს დაპირებული საქონლის/მომსახურების დამკვეთისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის/მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება და იმ შემთხვევაში როდესაც, შედეგების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში შედეგების მეთოდის გამოყენებით.

იმ შემთხვევაში როდესაც სახელშეკრულებო თანხა წინასწარ არ არის განსაზღვრული, შემოსავალი აღიარდება დამოუკიდებელი ექსპერტის და ორივე მხარის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების აქტის საფუძველზე, ბოლო აქტიდან წლის ბოლომდე პერიოდში ამონაგებად აღიარდება მხოლოდ ის ნაწილი რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია და შესაბამისი სახელშეკრულებო დანახარჯები ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

კონტრაქტების გადახედვა ხდება რეგულარულად და იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის ;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ფულს და ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდილია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

• **ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვების მართებულობა.** კომპანიის უნარზე განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- მომხმარებელთან გაფორმებული მოკლევადიანი ხელშეკრულება - კომპანიას სს „თელასთან“ გაფორმებული აქვს ელექტროსამონტაჟო და მასთან დაკავშირებული სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულება. სს „თელასისგან“ მიღებული შემოსავალი აგენერირებს მთლიანი შემოსავლის 95%-ს. ხელშეკრულება გაფორმებულია ერთი წლის ვადით, მხარეთა შეთანხმებით გაგრძელების პირობით. კომპანიას არ აქვს გარანტია, რომლის საფუძველზეც შეძლებდა მომსახურების ხანგრძლივობის გონივრული ვადით შეფასებას;

- გამომდინარე იქიდან რომ იმ მომსახურების ტარიფები რასაც კომპანია ასრულებს თელასისთვის, საბოლოო მომხმარებლისთვის არის რეგულირებული, საქმიანობის საწყის ეტაპზე კომპანიამ ვერ უზრუნველყო საკმარისი ფულადი ნაკადების გენერირება საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად და შესაბამისად 2022 წელი იყო ზარალიანი. შედეგად 2022 წლის განმავლობაში კომპანიას ჭირდებოდა სამუშაო კაპიტალის დაფინანსება რაც მოხდა საკრედიტო დავალიანების გაზრდით და ბანკისგან მოზიდული რესურსით.

- კომპანიას დარღვეული აქვს მიღებული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული კოვენანტები, რომლის გამოც შესაძლოა დადგეს ფინანსური რისკების წინაშე.

მენეჯმენტმა იმის შესაფასებლად აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა იხელმძღვანელა შემდეგი ფაქტორებით:

- ფინანსური ანგარიშგების გამოცემის მომენტში უკვე გაფორმებულია 2023-2024 წლის ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულება და მიმდინარე პერიოდში არ არსებობს გარემოებები, რომლებიც ხელს შეუშლის შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელებას. 2022 წელს კომპანიამ ძირითად კონტრაქტორთან თანამშრომლობის ფარგლებში დააგროვა გამოცდილება, რაც 2023 წლიდან უზრუნველყოფს პროექტების შესრულების მოკლე ვადებსა და ხარჯების ოპტიმიზაციას, რაც ძირითადად გამოიხატება კომპანიის შიგნით იმ მომსახურებების დამატებით და გაუმჯობესებით, რაც აუცილებელია მომსახურების შესასრულებლად;

- კომპანიამ 2023 წელს ქსელის განვითარების კომპენსირების მიზნით სს „თელასთან“ გააფორმა დამატებითი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში თითოეული შეკვეთის დონეზე მოხდება ქსელის განვითარების მიზნით შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება დამკვეთის მიერ, აბონენტისთვის შესრულებულ სამუშაოებზე დადგენილი ტარიფისგან განცალკევებით.

- ქსელის განვითარებისთვის კომპანიამ ასევე მიიღო დამატებითი ანაზღაურება თელასისგან ორ მილიონ ლარზე მეტი თანხით, ეს გრძელდება 2023 წელსაც და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის მომენტში კომპანიას აქვს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები და მოსალოდნელია მომავალში შედეგების კიდევ უფრო გაუმჯობესება.

- კომპანიამ 2023 წელს, საკაბელო ხაზის შეცვლის სამუშაოების მიზნით, სს „თელასთან“ გააფორმა დამატებითი ხელშეკრულება რომლის შესრულება მოხდება 2023 წელს. პროექტის ღირებულება შეადგენს 2.1 მილიონ ლარს, ხოლო მოსალოდნელი წმინდა მოგება დაახლოებით შეადგენს 450,000 ლარს.

- კომპანიას არ მიუღია ფინანსური ინსტიტუტისგან შეტყობინება სესხის პირობების ცვლილებების შესახებ და არ მოელის მოკლევადიან პერიოდში რაიმე ცვლილებებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ბანკთან მომავალშიც გაგრძელდება თანამშრომლობა და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შესაბამისი ფინანსური რესურსების გამოყენება.

მენეჯმენტს სჯერა, რომ ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს კომპანიას ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას და უახლოეს პერიოდში კომპანია შეძლებს დამოუკიდებლად დააფინანსოს თავისი საოპერაციო საქმიანობა და ლიკვიდურობა. შესაბამისად, მენეჯმენტის შეფასებით საქმიანობის უწყვეტობის დაშვების გამოყენება შესაბამისი და რელევანტურია კომპანიისთვის.

5. შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავალი მომხმარებლის ტიპების მიხედვით შესაძლებელია წარმოავადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი ძირითადი დამკვეთისათვის გაწეული მომსახურებიდან	19,936,586	414,745
შემოსავალი სხვა დამკვეთებისთვის გაწეული მომსახურებიდან	1,027,190	712,024
სულ	20,963,776	1,126,769

შპს „ელმონტაჟი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან (გაგრძელება)

კომპანიამ ელექტროსამონტაჟო, გაწყობისა და სამშენებლო სამუშაოების მომსახურების საქმიანობა დაიწყო 2021 წელს. კომპანიამ 2022 წლის 21 იანვარს ხელშეკრულება გააფორმა სს „თელასთან“, რომლის ფარგლებშიც კომპანია გახდა ელექტროსამონტაჟო, გაწყობისა და სამშენებლო სამუშაოების მომსახურების გაწევის ერთადერთი კონტრაქტორი. შესასრულებელი სამუშაოები მოიცავს, როგორც ახალი აბონენტების ქსელთან დაერთებისა და მასთან დაკავშირებული ელექტროსამონტაჟო და სამშენებლო მომსახურებას, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის სარემონტო სამუშაოებს. ხელშეკრულება გაფორმებულია 1 წლის ვადით, შემდგომში მხარეთა შეთანხმებით გაგრძელების პირობით. მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება მიღებული ინდივიდუალური შეკვეთების დონეზე, ნაწილობრივ წინასწარი ანგარიშსწორებით, ხოლო დარჩენილი ნაწილის ანაზღაურება ხორციელდება სამუშაოების შესრულების შემდგომ.

მომსახურების გაწევა ძირითადად ხორციელდება თბილისსა და მის შემოგარენში, ყველგან სადაც ელექტროენერგიის მიმწოდებლად ოპერირებს სს „თელასი“. მომსახურების ტარიფები რეგულირდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილება №19-ით.

6. შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021
გამოყენებული ნედლეულისა და მასალების ხარჯი	(10,277,158)	(27,584)
შრომის ანაზღაურება	(4,826,547)	(272,066)
მომსახურება	(2,687,341)	-
სხვა	(724,428)	-
სულ	(18,515,474)	(299,650)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	(2,035,372)	(58,380)
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(235,783)	(23,429)
იჯარის ხარჯი	(144,540)	(4,369)
ჯარიმები*	(134,304)	(7,852)
რემონტის ხარჯები	(73,148)	-
სატრანსპორტო საშუალებების მოვლის ხარჯები	(96,214)	-
საოფისე ხარჯები	(28,281)	-
სხვა ხარჯები	(231,734)	(3,394)
სულ	(2,979,376)	(97,424)

*დარიცხული ჯარიმები წარმოადგენს სამუშაოების შესრულების დროს მუნიციპალიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების დაზიანების შედეგად დარიცხულ ჯარიმებს.

შპს „ელმონტაჟი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სულ
	-	-	-
შემოსვლა	-	932	932
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	932	932
შემოსვლა	120,808	115,292	236,100
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	120,808	116,224	237,032
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2020	-	-	-
ცვეთის ხარჯი	-	(46)	(46)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	(46)	(46)
ცვეთის ხარჯი	(14,423)	(14,807)	(29,230)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(14,423)	(14,853)	(29,276)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	-	886	886
31 დეკემბერი 2022	106,385	101,371	207,756

2022 წელს სატრანსპორტო საშუალებებზე დარიცხული ცვეთა 14,423 ლარის ოდენობით სრულად არის მიკუთვნებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებზე.

9. გაცემული სესხები

გაცემული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გაცემული სესხები უცხოურ ვალუტაში	123,786	-
გაცემული სესხები ეროვნულ ვალუტაში	24,274	-
სულ მოკლევადიანი სესხები	148,060	-
გაცემული სესხები უცხოურ ვალუტაში	421,831	-
გაცემული სესხები ეროვნულ ვალუტაში	38,546	40,856
სულ გრძელვადიანი სესხები	460,377	40,856
სულ გაცემული სესხები	608,437	40,856

ეროვნულ ვალუტაში სესხები გაცემულია 13.1% და 16.73% საპროცენტო სარგებლით, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 18% და 24% საპროცენტო სარგებლით.

გაცემული სესხების მოძრაობა წლების განმავლობაში შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

შპს „ელმონტაჟი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. გაცემული სესხები (გაგრძელება)

	2022	2021
საწყისი ნაშთი	40,856	-
სესხის გაცემა	540,928	40,856
დისკონტის ეფექტი	(48,924)	-
სესხის დაფარვა	(24,070)	-
დარიცხული პროცენტი	148,308	-
საკუთრობის სხვაობა	(48,661)	-
საბოლოო ნაშთი	608,437	40,856

10. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სადენები და კაბელები	3,705,197	-
ძალოვანი კარადა და უჯრედები	1,311,540	-
მრიცხველები	1,234,724	-
ძალოვანი ტრანსფორმატორები	1,045,069	-
სხვა	946,622	4,900
სულ	8,243,152	4,900

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	4,777,022	250,226
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	189,877	-
სულ	4,966,899	250,226

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ინდიკატორები. სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით წლის ბოლოს არსებული ნაშთი არის მიმდინარე და არ არის ვადაგადცილებული შესაბამისად არ დგას გაუფასურების ნიშნები.

12. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	365	68,502
სალაროში არსებული ფულადი სახსრები	-	27,000
სულ	365	95,502

შპს „ელმონტაჟი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალსა და გაუნაწილებელ მოგებას/(დაუფარავ ზარალს).

საწესდებო კაპიტალი

2021 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი გაზრდილია 81,339 ლარით, ამავე ოდენობით არის შემცირებული 2022 წელს.

გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)

2022 წელს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი შეადგენს 98,737 ლარს, ხოლო 2021 წელს - 526,316 ლარს.

გარკვეული ხარჯები მენეჯმენტის შეფასებით, კომპანიამ გაწია მფლობელის ინტერესებიდან გამომდინარე მისი სახელით. ასეთი ხარჯები წარდგენილია პირდაპირ კაპიტალში როგორც მფლობელის სახელით განხორციელებული ოპერაციების შედეგი.

14. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

15. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

მიღებული სესხები:	%	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური ინსტიტუტებისგან	13.5%-16.5%	ლარი	3,034,745	185,000
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	1%	ლარი	60,000	-
სულ			3,094,745	185,000

ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები წარმოადგენს საკრედიტო ხაზებს და გამოყენებულია საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

აღნიშნული სესხის ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიას დაევალა გარკვეული ფინანსური და არაფინანსური პირობების დაკმაყოფილება. მნიშვნელოვანი ფინანსური კოვენანტები წარმოდგენილია ქვემოთ:

ვალდებულება	სტატუსი
DSRM > 1.25	დარღვეულია
ფულადი ვალდებულებების შეფარდება EBITDA > 3	დარღვეულია

მიღებული სესხების მოძრაობა წლების განმავლობაში შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
საწყისი ნაშთი	185,000	-
სესხის მიღება	3,486,088	260,000
სესხის დაფარვა	(611,088)	(75,000)
დარიცხული პროცენტი	299,504	2,958
გადახდილი პროცენტი	(264,759)	(2,958)
საბოლოო ნაშთი	3,094,745	185,000

საფინანსო ინსტიტუტისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელობაში არსებული და სამომავლო მთელი მოძრავი ქონებით და შალვა წაქაძის საკუთრებაში არსებული 100% წილი შპს „ელმონტაჟის“ (ს/ნ 405455626) კაპიტალში.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მიღებული ავანსები	7,188,245	-
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	4,738,228	11,152
გადასახდელი ხელფასები	172,713	-
სხვა	105,617	-
სულ	12,204,803	11,152

მიღებული ავანსი წარმოადგენს ძირითადი დამკვეთისგან მიღებული შვებულების ფარგლებში მიღებულ თანხებს, რომლის შესრულება დაწყებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა, შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ოპერაციები მენეჯმენტთან

	2022	2021
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები და სხვა სარგებელი	272,677	61,922

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომპანიამ 2023 წელს გააფორმა 2023-2024 წლის ელექტროსამონტაჟო სამუშაოების მომსახურების შესახებ ხელშეკრულება სს „თელასთან“. აგრეთვე კომპანიამ 2023 წელს ქსელის განვითარების კომპენსირების მიზნით სს „თელასთან“ გააფორმა დამატებითი ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში თითოეული შეკვეთის დონეზე მოხდება ქსელის განვითარების მიზნით შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება დამკვეთის მიერ.

კომპანიამ 2023 წელს დამატებით აითვისა 6,367,000 ლარის სასესხო ვალდებულება, ხოლო დაფარა 6,603,764 ლარის სასესხო ვალდებულება.

**შპს „ელმონტაჟი“
მმართველობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „ელმონტაჟი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ელმონტაჟი“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2021 წლის 14 აპრილ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405455626.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროსამონტაჟო და მასთან დაკავშირებული სამშენებლო მომსახურების მიწოდება.

2021-2022 წლებში მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი განაწილებულია შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი ძირითადი დამკვეთისთვის გაწეული მომსახურებიდან	19,936,586	414,745
შემოსავალი სხვა დამკვეთისთვის გაწეული მომსახურებიდან	1,027,190	712,024
სულ	20,963,776	1,126,769

კომპანიის ძირითად მომხმარებელს წარმოადგენს სს „თელასი“, რომელთან დადებული იქნა საკონტრაქტო ხელშეკრულება 2022 წლის იანვარში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი კოეფიციენტები	2022	2021
სულ შემოსავალი	20,963,776	1,126,769
სულ აქტივები	13,358,476	350,628
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	272	6
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.86	1.72
უკუგება აქტივებზე ROA	(0.05)	1.62
უკუგება კაპიტალზე ROE	(0.52)	3.36

თანამშრომლები: 2022 წელს თანამშრომლების მკვეთრი ზრდა გამოწვეულია ამავე პერიოდში სს „თელასთან“ გაფორმებული კონტრაქტით, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის საოპერაციო საქმიანობა და შესაბამისად გამოიწვია მეტი თანამშრომლის აყვანის საჭიროება. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, მის მთავარ მომწოდებელსა და კლიენტს წარმოადგენს მისივე კონტრაქტორი - სს „თელასი“, თუმცა მომწოდებლებში ასევე გამოირჩევიან შპს „ელექტრონი“, შპს „ქსელმშენი“, შპს „ბესტ“, შპს „რანვეი“.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია ახალი მომხმარებლების მოზიდვა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2022 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2022 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	შენიშვნა
ძირითადი საშუალებები	207,756	886	შენიშვნა #1
სასაქონლო მატერიალური მარაგები	8,243,152	4,900	შენიშვნა #1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,966,899	250,226	შენიშვნა #1
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,204,803	11,152	შენიშვნა #1
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	20,963,776	1,126,769	შენიშვნა #1
შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	(18,515,474)	(299,650)	შენიშვნა #1
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(2,979,376)	(97,424)	შენიშვნა #1

შენიშვნა #1

ფინანსური ანგარიშგებების არეების მკვეთრი ცვლილება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კომპანია დაარსდა 2021 წლის 14 აპრილს და ოპერირება დაიწყო წინა საანგარიშგებო პერიოდის შუა ნაწილიდან. ამის გარდა, კომპანიამ 2022 წლის 21 იანვარს ხელშეკრულება გააფორმა სს „თელასთან“, რომლის ფარგლებშიც კომპანია გახდა ელექტროსამონტაჟო, გაწყობისა და სამშენებლო სამუშაოების მომსახურების გაწევის ერთდერთი კონტრაქტორი. აღნიშნულმა გარიგებამ, ხელი შეუწყო კომპანიის საოპერაციო საქმიანობის მასშტაბების გაზრდასა და შესაბამის ცვლილებებს ფინანსურ ანგარიშგებების არეებში.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი შესყიდვები მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2022	2021
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,736	3,689
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	24.6	18.7
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	6,672	5,015
მშპ-ის რეალური ზრდა, %	10.1%	10.4%
საშუალო წლიური ინფლაცია	11.9%	13.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	2,000	1,152.8
უმუშევრობის დონე, %	17.3%	20.6%

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ელექტროენერგიის სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 4 ოქტომბერს:

გივი ჭაჭია
დირექტორი

კოკა დუმბაძე
ფინანსური დირექტორი

შპს „ელმონტაჟი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორობთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ელექტროენერგიის სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე სავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 4 ოქტომბერს:

გივი ქაქია
დირექტორი

კოკა დუმბაძე
ფინანსური დირექტორი